

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ალუპლასტ გლას“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2015 წლის 15 სექტემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 246963242, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. ბათუმი, ა, მელაშვილის ქ. # 33-35, ბ. 6. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელია საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირი, რეზო ჯაიანი (პ.ნ. 61004009908) - 100%, დირექტორი რეზო ჯაიანი (პ.ნ. 61004009908).

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა მეტალო პლასმასის მასალების იმპორტი, რეალიზაცია.

1.4. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია.

სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შემოღუპვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიკვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამონერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-5 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6468 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.86.77 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	174	11473
ლარი საბანკო ანგარიშებზე	3611	37775
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	46	66
ევროები საბანკო ანგარიშებზე		
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	289	
სულ:	4120	49314

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	622544	823477
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	0	0
სულ:	622544	823477

3.3. მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
--	-------------------------------------	-------------------------------------

მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	0	0
სულ:	0	0

3.4. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
არეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	0	0
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	90228	130901
სულ:	90228	130901

3.5. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	1393945	1388843
საწვავ-საცხები მასალები	13113	16099
ნედლეული დამასალები	213144	830353
სულ:	1620202	2235295

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ნაგებობები	3523	3359
მანქანა-დანადგარები	155362	165449
კავშირგაბმულობა, ოფისის აღჭურვილობა და კომპ. ტექნიკა	21406	16072
ავეჯი	5946	4889
სატრანსპორტო საშუალებები	72093	33817
სხვა ძირითადი საშუალებები	46449	53719
სულ:	304779	277305

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 175022 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 257902 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
პროგრამული უზრუნველყოფა	1989	3658
სულ:	1989	3658

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 808 ლარი;

2019 წლის ბოლოს - 1088 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	15104	42325
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	838661	799644
სულ:	853765	841969

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 11 რეზიდენტი მიმწოდებლისა და 9 არარეზიდენტი მიმწოდებლის წინაშე.

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
ფიზიკურ პირისგან მიღებული მოკლევადიანი სესხის ძირი	0	0
ფიზიკურ პირისგან მიღებულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტი	2118	2148

სულ:	2118	2118
------	------	------

3.10. საგადასახადო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიმდინარე საგადასახადო დავალიანება	141076	141170
სულ:	141076	141170

3.11. სხვა მიმდინარე ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	15478	14622
გადასახდელი ხელფასები	26981	505106
ვალდებულებები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	3524	0
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		10952
სულ:	45983	530680

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	1600920	2005535
სულ:	1600920	2005535

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების

გამომუშაების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018-2019 წლების მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2019 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2018-2019 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა სარემონტო-სამშენებლო მასალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებიდან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
7310	რეკლამის ხარჯები	2360	308
7340	საწვავის ხარჯები (მიწოდების)	303854	316095
7381	ავტომანქანების რემონტის ხარჯები	98791	93243
7390	მიწოდების სხვა ხარჯები	15193	11695
	სულ:	420197	421341

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
7410	შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	993528	1228996
7415	საბენსიო ანარიცხები	0	22561
7420	საიჯარო ქირა	389750	269500
7422	ელექტროენერგიის ხარჯები	3236	5063
7423	გაზი, წყალი, დასფთავება და ანალოგიური ხარჯები	864	864
7426	საკანცელარიო ხარჯები	3455	3289
7427	კომპიუტერის ხარჯები	1780	2854
7430	კომუნიკაციის ხარჯები	6483	5811
7431	დაცვის ხარჯები	2948	3735
7435	საერთო დანიშნულების დაზღვევის ხარჯები	333	11371
7440	საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	26570	25968

7450	საკონსულტაციო და ადიტის ხარჯები	30000	34470
7455	საერთო დანიშნულების ძირ. საშაღლებების ცვეთა	81312	108003
7456	საერთო დანიშნულების არამატ. აქტივების ამორტიზაცია	280	280
7465	საგადასახადო ხარჯები	3026	2911
7470	საბანკო ხარჯები	6478	13746
7475	მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	2235	1784
7481	ავტომაქანების რემონტის ხარჯები	2185	220
7485	წარმომადგენლობითი ხარჯები	0	305
7490	სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები, რომლებიც გამოიქვითება	3598	4908
7495	საქველმოქმედო ხარჯები	3100	0
	სულ:	1561161	1746637

3.16. არასაოპერაციო შემოსავლები:

		2018 წელი	2019 წელი
8180	დადებითი საკრსო სხვაობები	5487	22466
8190	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	49352	112069
		0	0
	სულ:	54839	134535

3.17. არასაოპერაციო ხარჯები:

		2018 წელი	2019 წელი
8211	საპროცენტო ხარჯები ფიზიკრი პირებიდან	2118	0
8280	უარყოფითი საკურსო სხვაობები	41370	56432
8285	საგადასახადო ჯარიმები და სარაფები	3904	9884
8290	სხვა არასაოპერაციო ხარჯები	28	368
	სულ:	47420	49700

3.18. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.19. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია
კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 28 სექტემბერს.




ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	01.01.2019	01.01.2020
აქტივები		
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	<i>2333507</i>	<i>3240509</i>
ფულადი სახსრები	4121	49313
მოკლევადიანი ინვესტიციები	0	0
დებიტორული დავალიანება მიწოდებიდან და მომსახურებიდან	618956	823477
მოთხოვნა პარტნიორის წინაშე კაპიტალის შევსებაზე	0	0
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	90228	130901
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	0	0
სასაქონლო-მატერიალური მარაგი	1620202	2235295
წინასწარ გადახდილი გადასახადები		
მისაღები პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი მოთხოვნები	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	1523
გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები	0	0
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	<i>306767</i>	<i>280963</i>
ძირითადი საშუალებები	304779	277305
ბიოლოგიური აქტივები	0	0
არამატერიალური აქტივები	1988	3658
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	0	0
გადავადებული საგადასახადო აქტივი	0	0
კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ინვესტიციები	0	0
საინვესტიციო ქონება და სხვა გრძელვადიანი ინვესტიციები	0	0
სულ აქტივები:	2640274	3521472
ვალდებულებები და კაპიტალი		
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>1039354</i>	<i>1515937</i>
ვალდებულებები, წარმოქმნილი მიწოდებიდან და მომსახურებიდან	853765	841969
მოკლევადიანი სესხები	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	141076	141170
გასაცემი პროცენტები, დივიდენდები და მსგავსი ვალდებულებები	2118	2118
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	42395	530680
გასაყიდად გამიზნულ გრძელვ. აქტივ. დაკავშირ. ვალდებულებები	0	0
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	<i>0</i>	<i>0</i>
გრძელვადიანი სესხები	0	0
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები	0	0
გადავადებული საგადასახადო ვალდებულება	0	0
გრძელვადიანი ანარიცხები	0	0
გადავადებული შემოსავალი	0	0
<i>სულ კაპიტალი:</i>	<i>1600920</i>	<i>2005535</i>
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	0	0
საემისიო (დამატებითი) კაპიტალი	0	0
დაგროვილი მოგება / დუფარავი ზარალი	1600920	2005535
რეზერვები და დაფინანსება	0	0
არამაკონტროლებელი წილი	0	0
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2640274	3521472

დირექტორი: რ. ჯაიანი





სრული შემოსავლის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2019
ამონაგები		
რელიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	12596188	15266662
მოგება ან ზარალი რელიზაციიდან	9525110	11110218
სხვა საოპერაციო შემოსავლები	3071078	4156444
სულ საოპერაციო შემოსავლები:	49352	112069
	3120430	4268513
მიწოდების ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	420197	421341
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	1561161	1746637
სულ საოპერაციო ხარჯები:	28	368
	1981386	2168346
ნეტო შემოსავალი ძირით. საშუალ. და არამატ. აქტივების გაყიდვიდან	0	0
ფინანსური შემოსავლები	0	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
მოგების წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
დადებითი საკურსო სხვაობები	0	0
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	5487	22466
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	0	0
	5487	22466
ზარალი ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გასვლიდან	0	0
ფინანსური დანახარჯები	2118	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული მეკავშირე საწარმოებიდან	0	0
ზარალის წილი კაპიტალ-მეთოდით აღრიცხული ერთობლივი საქმიანობიდან	0	0
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	0	0
უარყოფითი საკურსო სხვაობები	3904	9884
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	41370	56431
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	0	0
	47392	66315
მოგება დაზევგრამდე:		
მოგების გადასახადის ხარჯი	1097139	2056318
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი განგრძობითი ოპერაციებიდან:	135418	247755
მოგება ან ზარალი შეწყვეტილი ოპერაციებიდან	961721	1808563
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	0	0
მათ შორის, მოგება ან ზარალი მისაკუთვნიებული:	961721	1808563
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	0	0
არამაკონტროლებელ წილებზე	961721	1808563
	0	0
ძირით. საშუალ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0
მეკავშირე საწარმოს სხვა სრული შემოსავლის წილი	0	0
სხვა სრული შემოსავალი	0	0
სხვა სრულ შემოსავალთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი, გადასახადის გამოკლებით:	0	0
	0	0
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	961721	1808563
მათ შორის, სრული შემოსავალი მისაკუთვნიებული:	0	0
სათავო საწარმოს მესაკუთრეებზე	961721	1808563
არამაკონტროლებელ წილებზე	0	0

დირექტორი: რ. ჯაიანი





ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები		17785925
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		1131
ზარალის დასაფარავად (ზიანის ასანაზღაურებლად) მიღებული თანხები		
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები		-12419579
გაცემული შრომის ანაზღაურება		-677716
სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება		
ანგარიშგაღებულ პირებზე გაცემული ავანსები		
განაცემები საქველმოქმედო მიზნით		
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)		-3209479
გადახდილი მოგების გადასახადი		-43209
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები		-65254
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან		1371819
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა		
ძირითადი საშუალებებისა და არამატ. აქტივების გასვლიდან შემოსულობანი		
გრძელვადიანი ინვესტიციების შეძენა		
გრძელვადიანი ინვესტიციების გასვლიდან შემოსულობანი		
მიღებული პროცენტები		
მიღებული დივიდენდები		
მიღებული მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი / განაცემები საინვესტიციო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან		
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
შემოსულობანი აქციების ემისიისაგან / კაპიტალის ზრდისაგან		
საკუთარი აქციების გამოსყიდვა ან გაცემები კაპიტალის შემცირების გამო		
სესხების აღება		
სესხების დაფარვა		
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა		
გადახდილი პროცენტები		
გადახდილი დივიდენდები		-1333750
გადახდილი მოგების წილი ერთობლივი საქმიანობიდან		
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან		-1333750
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)		7123
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:		45192
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:		4121
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:		49313

დირექტორი: რ. ჯაიანი




საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საბუღალტრო / საწესდებო კაპიტალი	საბუღალტრო / დამატებითი კაპიტალი	გაუნაწილებად მოგება / დაუფარავი ზარალი	გადადასტოვების რეზერვები	სხვა სრული შემოსავალი	კაპიტალი არამაკონტინ- გარეშე	არამაკონტინ- გარეშე	სრული შემოსავალი
ნაშთი 01.01.2018-თვის	0	0	0	0	0	0	0	0
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0	0	0	0
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0	0	0	0
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	0	0	0	0	0	0	0
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0	0	0	0	0	0	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0	0	0	0	0	0	0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში	0	0	0	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	0	0	0	0	0	0
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	0	0	0	0	0	0	0	0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან	0	0	0	0	0	0	0	0
განაწილებული დივიდენდები	0	0	0	0	0	0	0	0
სრულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	0	0	0	0	0	0
ნაშთი 01.01.2019-თვის	0	0	1600920	0	0	1600920	0	1600920
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0	0	0	0
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები	0	0	0	0	0	0	0	0
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	0	0	0	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი	0	0	2056317	0	0	2056317	0	2056317
ძირ. საშ. და არამატ. აქტ. გადაფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0	0	0	0	0	0	0
ფინანსური აქტივების შეფასებიდან შემოსულობები ან ზარალი	0	0	0	0	0	0	0	0
სხვა ცვლილებები სრულ შემოსავალში	0	0	0	0	0	0	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი	0	0	2056317	0	0	2056317	0	2056317
მესაკუთრების შენატანები კაპიტალში	0	0	0	0	0	0	0	0
საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების გამოსყიდვა მესაკუთრებისგან	0	0	0	0	0	0	0	0
დარიცხული განაწილებული დივიდენდები	0	0	-1651702	0	0	-1651702	0	-1651702
სრულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები	0	0	-1651702	0	0	-1651702	0	-1651702
ნაშთი 01.01.2020-თვის	0	0	2005535	0	0	2005535	0	2005535

დირექტორი: რ. ჯაიანი